

896/3

Nº XI

17-00

საქართველო  
საბჭოთა კულტურის

# მარტინი



1896 ნოემბერი

## უფრნალის „ჯეჯილისა“

|                                                             |    |
|-------------------------------------------------------------|----|
| I გლეხის ჩეიკლი ლექსი — გ ფარეზება . . . . .                | 3  |
| II ორი მეგობარი: ცუკუა და ფისუა — თ. ჭანდელაგისა . . .      | 5  |
| III ტყუილი შიში ამბაეი — გ. წალეტუბელისა . . . . .          | 17 |
| IV ია ლექსი — შ. მღვამელისა . . . . .                       | 21 |
| V ჯემს გარფილდის ცხოვრება. (შემდეგი) — პატუასი . . .        | 23 |
| VI ზანგი და თეთრი (ფრანგულიდან) გაგრძელება . . . .          | 34 |
| VII თესლი ამბაეი (რუსულიდან) — ბესარიონ კაშაბისა . . .      | 50 |
| VIII ძნელი გაკეთილი (ფრანგულიდან) — . . . . .               | 51 |
| IX წერილმანი: გამოცანები, არაზები, შარალა, რებუსი და სხვა . | 53 |

მოგაგონებთ „ჯეჯილის“ ხელის მომწერლებს, რომ ეისაც ფული სრულათ არა აქვთ შემოტანალ, დაჩქარონ შემოტანა.

უფრნალი „ჯეჯილი“ 1896 წელს გამოდის ყოველ თვე, ე. ი. ხელის მომწერლები მიიღებენ წელის განმავლობაში 12 წიგნს — ექვსის მაგივრათ და ურნებლი მსოლოთ ერთი მანეთით შეტი ღირს. (თბილისში 4 ბ. და ქალაქ გარეთ 5 ბ.) რეზაქციაში მუდმივი თანამშრომლობა იყისრეს: რაფ. ჯავანაშვილმა, ალ. მირიანაშვილმა და ალ. გარევანაშვილმა.



საზოგადოებრივი ნახატები

ე უ რ ნ ა ლ ი

იზარდე, მწერანე ჯევალიო.  
დაპურდი, განდი ყანაო!..


ღ. ღ.

№ XI

შელიძე გევარე ჭრა

ტფილი

კრაისა გ. დ. როგორნანცის || თუ. მ. დ. როგორნანცი. გვ. ა. № 41.  
1896.






Дозволено цензурою Тифлисъ, 7-го Ноября 1896 года.

---

## გლეხის ჩივილი.



ლეხმა თქვა: ღმერთო,  
შენ იცი,  
არა ვარ ავის მქნელია!  
ალაბლ და მართალ ლუკ-  
მას ვჭამ,  
მუმა ვარ მიწის მხვნე-  
ლია.

სხვისი აო მიუვარს  
არაძი,  
მიტომ, რომ მაგნებე-  
ლია;  
მმულს კაცი მუქთა მჭა-  
მელი,  
როგორც მკბენარი გველია.

გავ ზდილვარ სიღატაკეში,  
ტანჯეა და წვალებაშია;  
წილათ მხვდა სხვისი მონება  
ამ წუთის ცხოვრებაშია.

ପରିମିଳିଲେ ମୃଦୁଲୀର ଗାନ୍,  
 ପ୍ରକ୍ଷେପଣେଥିଲେ ଧର୍ମାନ୍ତରଙ୍ଗିଲା;  
 ଅନ୍ତରେ ମିଠାରେ ମାର୍ଗଙ୍ଗେନ୍ତି  
 ଏବଂ ପୂର୍ବଜୀବିତ ମିଠା କ୍ଷେତ୍ରରେ.

ଯାତିର ରାମା ମାଝେର ସାଧାରଣତ,  
 ଏହି ହେଠି ପ୍ରକ୍ଷେପିଲେ ମିଶ୍ରଗ୍ରହିଲା:  
 ଏବଂ ପରିପ୍ରକାଶିତ ପ୍ରକାଶିତ,  
 ଆମାର ମନମିଶ୍ରଗ୍ରହିତା ପ୍ରକାଶିଲା!

ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗବତରେ  
 ହେଠିର ପ୍ରକ୍ଷେପିଲେ ଧର୍ମାନ୍ତରଙ୍ଗିଲା,  
 ମାତ୍ରାମିଶ୍ରଗ୍ରହିତା ମନନାତ ମନ୍ଦିରିଲେ,  
 ପରିପ୍ରକାଶିତ କ୍ଷେତ୍ରରେ କାମିକାକ୍ଷେତ୍ରରେ,  
 ପାଦମିଥିତ କ୍ଷେତ୍ରରେ କାମିକା ପିମିଥିଲା  
 ଏବଂ ମନନାତ—ମିଠା କ୍ଷେତ୍ରରେ,  
 ପାଦମିଥିତ ପ୍ରକାଶିତ ଏବଂ ମନନାତ  
 ଏହି ମନମାଧ୍ୟରେ ଶୀର୍ଷନାକ୍ଷେତ୍ରରେ.

ଘ. ପ୍ରାଚୀରାମା.



თრი მეგობარი: ცუგუა და ფისუა.




რთი ნამკუდა ლეკვი იუო ბროლია,  
როცა ის ღობის ძირის ვიზოვეთ მიგ-  
დებული. მოკუნტულიეო საცოდავი და  
გულსაკლაფათ ღნაოდა მძიერ-მწეულვა-  
ლი დ უპატრონო. შევიუვანეთ სახლ-  
ში, გავათბეთ, გაგამდეთ, მივუალერსეთ  
დ ცოცხალ-მკვდარმა ლეკვმა უურები კი  
ცქვირა. კარგმა მოვლამ და ჰატრო-  
ნობამ სული ჩაუდგა საცოდავს და  
რამდენსამე ხანს მემდეგ საკვირველი  
ქასქანვიელი რამ გახდა. თუმცა სი-  
ლამაზით ვერ მოაწონებდა კაცს თავს,  
მაგრამ სიემმაკე ქვეუნისა ჰქონდა.

ამასთან ისეთი აზრიანი, გონიერი და მორჩილი რამ  
იუო, რომ ჰა! უნდა გენასათ, როგორ გამოცეკეტდა ხოლ-  
მე უურებს, დაბჭეტდა გონიერ თვალებს და სმენათ გა-  
დიქცეოდა, როცა მაღლის, კატის, ან ჩიტის ხმაზე დაი-  
ძახებდა ვინმე!.. იმისი კუდის ქნევა და მიხვრა-მოხვრა,  
სწორეთ ადამიანსე უკეთესათ გამოთქვამდა უოველივე  
გრძნობას; ხან გაიბზეცდა, ხან დაგრენდა, ხან რეოლი-  
ვით გაიხდიდა, ხან აიშვერდა, ხან დაუშვებდა. სისარულს,  
მწესარებას, გაჯავრებას, რისამე სურვილს და თხოვნას

ხომ ისე ცხადათ გამოთქვამდა თავის ხმის კილოს ში-  
მოხვრით, როგორც ადამიანი...

დილიდან საღამოძე დიდით ჰატარამდის ბროლიას  
ალექსმი ვიუავით. ის ოჯახის ნამდვილი წევრი გასდა და  
უელას საუვარელი: ვინ კალთაში ჩაისვამდა, ვინ მხარზე  
შეისვამდა, ვინ აკვანში ჩააწვენდა და არწევდა; ხან ვაუ-  
რათ ჩააცმევდენ, ხან ქალურათ და ათამაშებდენ, ხან უკანა  
ფეხებზე დაუენებდენ ხან თათებით ტაშს აკვრევინებდენ,  
ხან წიგნს გადუმლიდენ, ხან კალამს მისცემდენ ხელში და  
ვითომ წერა-კითხვას ასწავლიდენ; ხან სარკეში ჩაახედებ-  
დენ და სავარცხლით ქოჩორის უსწორებდენ... ამ გვარი  
ფერაობით და ნებივრობით ლეპვი გაკეთდა, დაშენდა...

ჩვენ ოჯახში ერთი ხანში შესული კატა ცხოვრებდა.  
ჰატარა „ოთხ ფეხს“ მალიან მოუნდა იმისი გაცნობა და  
დასხლოვება. ალექსიანათ მიირბინა იმან ციცუნიასთან,  
გაუწოდა თათი, თითქო სელი უნდა ჩამოართვასო და გა-  
მოეთამაშა. მაგრამ ბეჭრეკი კატა უკი ჩამოურილი დაცუ-





ცქებულიუთ ბუხართან და თვლებდა. მას მოეჭამა თავის  
წუთი-სოფელი, ორი პარასკევი წინ აღარ ედო; თავს  
ძლივს იმაგრებდა, ჯან-ღონე გამოლეოდა, ხალისი დაჭ-  
კარგოდა და მწარეთ დაღონებული ახლა დრმა ფიქრებს  
მისცემოდა: თავის სიუძაწვილეს იგონებდა, როცა ერთ  
დროს მასაც ქარი უქროდა, სანამ დმერთი წეალობდა,  
ახლა კი თაგვები კუდსა და წვერ-ულვაშს აწიწენიდენ და  
იმას განძრევაც ესარებოდა...

სიბერეს ეოველთვის შერი და ეჭვიანობა მოსდევს  
და ჩვენ მოხუც კატუნიასაც ეს სენი დასჩემებოდა. ეპაფ-  
რებოდა ბროლია, შერდა, რომ იმას ეველა თავს ევლე-  
ბოდა. ბროლიას შიგარება და იმისი გაქცევა ერთი იუო:  
კუდ ამომუებული ზლაზვნით გასწევდა მეორე ოთახისა-  
კინ, ან ფრუტუნით შეძვრებოდა ტახტ ქვეშ; ცხვირ ჩა-  
მოშვებული წამოჯდებოდა და თავ-პირი ჩამოსტიროდა,  
თითქო ქვენის ჭირ-ბოროტი მას დასწროლია თავზეო...  
სიცოცხლით სავსე ბროლია კი ხუნტრუცის გუნებაზე  
იუო, იმას ტოლი უნდოდა, ამეოლი და რაღგანაც სხვას  
გერავის ხედავდა სახლში, ამ კატას არ შორ უებოდა, იმას  
აინუნშიაც არ მოსდიოდა, თუ კატას შერით სავსე ჰქონ-  
და გულ-მუცელი და თვალები; წელში კერ გამლილიუთ  
და მუხლები ქარებით დახუთოდა... ის კოგმანით კამოუ-  
ღებოდა ბეხრებს, საითაც უნდა წასულიუთ, სევ აე-  
კვიატებოდა. ბროლიას მეტათ ართობდა კატის გრძელი



ბანჯგვლიანი კუდი. მხიარულის უეფით დასჭურვაშიც  
გვდის, იჭერდა და ეთამაშებოდა. კატა უსიამოვნოთ უბლვე-  
როდა და ხშირათ მოთმინებიდან გამოსული თავის თათე-  
ბის ჩანგალ-კავებს გამოსდებდა ცელქ-დაუდევარ ლუგუს  
და მხიარულებას ჩაამწარებდა. ამასობაში ცუგუა წაითი-  
ზარდა და რძე ვერაფრით ვერ მოიგო ფისუას გული,  
მისი ზიზღით აიგსო და მტრული თვალით დაუწეო ცემ-  
რა. საცა თვალს მოჰკრავდა, უეფით მივარდებოდა და ბიე-  
ნას დაუწეობდა; კატაც არ ივიწევებდა თავის ღირსებას და  
მტრუს მტრულათ უხვდებოდა და თავის ბასო გლანჭებს  
ისარივით ურჭვობდა ნაზ სხეულში. აქ კი შეა კაცი იუო  
საჭირო, გამშეელებელი, თორებ ერთმანეთს ტვინს ამო-  
სწოვდენ...

ერთხელ მოთმინებიდან გამოსულმა კატამ შიგ თვა-  
ლებში გამოჰქონა კლანჭები ცუგასა და ცხარე ცრებლი  
აღვრუვინა. უველას გვევონა, რომ ბრიოლია სამუდამოთ  
დაბრძანვდებაო. მაგრამ მაღლის აგებულებამ დასძლია ამ  
ფათერაკს. ბოლოს გადავწევიტეთ გაპეტევებინა კატა სა-  
ხლიდან, თორებ ცუგას აქ აღარ ედგომინებოდა, რომე-  
ლიც კატაზე საუკარელი შეიქნა ჩვენთვის.

ბებერი კატის მაგივრათ შემოვიუვანეთ ერთი კნუტი.  
სხუცხოვთ რამ გამოდგა ეს პატარინა რუხი კნუტი. ის  
პირველათვე ისე მიენდო უველას, თითქო ამ სახლში გაზ-  
დილი და დიდი სნის მეგობარიაო. მისი ჭავიანი თვალე-



ბი, მოსიუვარულე გული ეველას სიუვარულსა ჭყვიდვა  
და ხელით საგოგმანებელი გახდა. სან ჯიბეში ჩავისეამ-  
დით, სან უბეში ამოვაუოფინებდით პატარა თავს და ისიც  
მოთმინებით გამოიჭეიტებოდა და ემორჩილებოდა უევლას.  
მასში არ მოიპოვებოდა არავითარი სიბოროტე, ორგორც  
ბეხრებ კატაში, ორმელსაც „ღვთის წეალობა“ ღვთის რი-  
სხვათ მიაჩნდა, და ამიტომაც ორმა პირუტევმა გაცნობა-  
სათანავე შეიუვარეს ერთმანეთი. მალე ისეთი მეგობრები  
გახდენ, ომ ერთმანეთს კუდი-კუდს დასძევდენ და ერთ  
ჯამში ჭამდენ საჭმელს. იმათი ერთათ თამაშობა, სტუ-  
ობა და ემბაკობა სასიამოვნო სანახავი იყო. უნდა გეც-  
ქირათ, ხემრობით რომ ბრძოლის ველზე გამოვიდოდენ  
და სან ერთი ცდილობდა, სან მეორე ერთმანეთის დამარ-  
ცხებას. ობრენი ემბაკობა, მოხერხება, სასაცილო ხრიკე-  
ბი, იხატებოდა იმათ თამაშობაში!.. ბრძოლია გადააკოტ-  
რიალებდა პატას გულ-აღმა და სან კუდში სტაცებდა  
პირს, სან ეურებელი, სან ფეხებში და სიუვარულით ღრღნი-  
და. ციცუნა მოთმინებით ემორჩილებოდა უევლა ამას,  
მაშინაც კი, ორცა ბრძოლია იმას კბილებით იატაქე ათ-  
როვიალებდა სოლმე. სან-და-სან ციცუნა წამოხტებოდა,  
დაიწევებდა სირბილს, ერთი ოთახიდან მეორეში შევარდე-  
ბოდა, კაი ჯამბაზივით სტებოდა სკამიდან სკამზე, სტო-  
ლიდან სტოლზე და ბოლოს საღმე მუთაქაზე გაწვებოდა  
პირქებ, გაიჭიმებოდა, გაინაბებოდა და მამაცურათ უდარა-



სამოვარებელი  
საბორბო დეკორაცია

ჯებდა, რომ ისევ გამოეწვია თავისი მტკრი, ჰითოში და  
საბორბო დეკორაცია. ამ დროს ბროლიაც თავის ქერქში არ



იუ: ის წემუტუნებდა, ჰეეფდა, იღრინებოდა, ბუზებსაც კი  
ეცემოდა, რეტიანივით თვალ-გაფაციცებული დარბოდა აქეთ-  
იქით და სულ გაემნდილი უცდიდა ციცუნიას, მერე ანაზღე-  
ულათ ეცემოდენ ერთმანეთს; კატა ფრუტუნს ასრენდა, ლეგი  
წემუტუნსა და უეფას, ერთი გაიქცეოდა, მეორე გამოუდგებო-  
და, შემოირბენდენ მთელ ოთახს, შეუჭიდებოდენ ერთმანეთს,  
ბდლამუნაობდენ, კვირტის გორგალივით მოიკუმშებოდენ  
ერთათ გადახვეულები, ხდარბივით გადაკოტრიალ-გადმო-  
კოტრიალდებოდენ, ფეხების ქნევას დაიწეებდენ, ტუ-  
ჩებმი, უურებმი, კუდზე კბენდენ ერთმანეთს, მერე უცებ  
გამორდებოდენ და თოსარივით აქეთ-იქით გაიქცეოდენ...  
ხან-და-ხან ციცუნია სადმე მაღლა შეაფის ან თაროს თავ-  
ზე ფხაჭანს მოიღებდა, იქიდან გადმოიცქირებოდა და ლეკვე  
თვალებს აბრეცინებდა, ეს კი დაცუცქდებოდა იმის პირდა-

შირ იატაკზე და ექვთათ საომრჩთ ითხოვდა. კარგად მეგობარი მეგობარი მის ჩამოსტებოდა, ეცემოდენ ისევ ერთმანეთს, დადგებოდენ უკანა ფეხებზე და წინა ფეხებით ადამიანურათ ჭიდაობას დაიწევებდენ. ეს ჭიდაობა იმ ღრომდის გასტანდა, სანამ ერთ-ერთი არ წაიქცეოდა იატაკზე. შემდეგ ბროლია მომორებით წამოჯდებოდა ვაჟ-ქაცურათ ოთხ ფეხზე, ფისუა აიგავებოდა თავის ოთხ თათზე, მოიკუმშებოდა, დაიმოკლებდა ტანს, ნელ-ნელა მიეპარებოდა, უცბათ ემგერებოდა, რაც მალი და ლონე ჰქონდა და გამოჰქორავდა ცალ თათს კისერზე. ბროლია კუდ ამომუებული განზე გაუსტებოდა და სელმეორეთ დატაგებას ვლოდა, ან რეტიბნივით დაიწევებდა სირბილს ისე-თი სიძარდით, რომ ვეღარ გაარჩევდით, მაღლი დარბოდა, თუ ბურთი გორბობდა, ამ ღროს კატა გაიმსლართებოდა იატაკზე გულაღმა, თავს კვერდზე გადაიღებდა და კუდის ცემით უცქეროდა ბროლიას. მოქანცული ბროლია მივიდოდა მასთან და დაუწევებდა ღრლნას, საცა მოასწრებდა. ციცუნია უცბათ წამოჰქორავდა თავის მეგობარს ნემ-სებივით კლანჭებს და ბროლია მოჰქვებოდა ღრენას. საკ-მათ იუო აძღოოს ვისმე ერთი დაუკირა, — ორივენი ერთ-მანერთს გამორდებოდენ; ფისო მედიდურის ნაბიჯით სამ-ჩარეულოსაკენ გასწევდა და ბროლია ტახტ ქვეშ მიიმა-ლებოდა. ეს იუო იმისი საეგარელი თავშესაფარი, როცა რაიმე უსიამოვნობას მოელოდა.



თამაშობით მოქანცული ეს ორი მეგობარი უკიდურეა  
ტებოდენ შეა თთახმი, ან თბილ ბუსართან და მიუცემოდენ  
ტებილ მიღს.

სასიაშოვი და საკვირველი საუკრებელი იუო ამათი  
თამაშობა: იმათი მეგობრული ვანწყობილება სრულიათ  
ამტეუნებდა იმ ანდაზას, რომელიც ამბობს: „ისე ცხოვ-  
რებენ, როგორც მაღლი და კატაო“.

თუ საღმე წავიდოდით სახლობით გადახარდასებული  
ურმით, ან მარტოგა ტექში შეძა-ფიჩხისთვის, ბროლია  
ჩვენი წინამდლოლი იუო. ისეთი სიხარულითა და აღტაცე-  
ბით მირბოდა წინდაწინ და მალი-მალ უკან-უკან იცქი-  
რებოდა, რომ ჩვენშიაც უნებლიერ სიხარულს ჰბადავდა,  
თუნდა-ცუდ გუნებაზე კეოფილიერით. ის ხან დაწინაურ-  
დებოდა, საღმე მიიმალებოდა და მალი-მალ ძორიდან  
გამოგვხედავდა, მოდიან თუ არაო, ხან უკან ჩამორჩებო-  
და და როცა კარგა მანძილით წინ გავასწრებდით, მოირ-  
ბენდა, აუკლ-ჩაუკლიდა ურემს, ხარ-კამეჩებს, ურემ ქვეშ  
შეძრებოდა, ჩამოგვათვალიერებდა, ვინ ვიუავით, სათითა-  
ოთ და ისევ მოჰკურცხლავდა ან ჯავებისაკენ ან მდინა-  
რისაკენ. დახტოდა, დაფუსვუსებ-  
და, რადაცას ეძებდა, ხან ჩიტებს  
გამოუდგებოდა, ხან ბუზ-პეპელებს  
და ისევ ჩვენთან მოირბენდა. მოუ-  
სვენარი რამ იუო, არ გასაზღველი!  
თუ ვინიცობაა შინ დაგვეტოვებინა



დაჯდებოდა კარებ წინ და მოუთმენლათ მოელოდზ ჩემ  
დაბრუნებას. თუნდ ჯერ მომორებით ვუოფილია ვით, ვერც  
კი დავენახეთ, ის ალდოს აიღებდა, იცნობდა მეურმის  
ხმას, ეტლის ჭრიალს და სისარულის გამომსატველი  
უფრით გამოექანებოდა ჩვენები; გალოკავდა ურემს, ხარებს,  
მეურმეს, უველას. აქ უნდა გენასათ იმისი ლაქუცი, ალერ-  
სი, მოვერება, ლოკვა, გუდის ქნევა, გრეხა-მანჭვა, რომ-  
ლებმიაც ცხადათ ისატებოდა სისარული, სიუფარული,  
ერთგულება!..

შესანიშნავი იუო იმისი მდგომარეობა, როცა სადმე  
წასვლას დავაპირებდით: ის მოუთმენლათ ელოდა თავის  
ბედს თუ უბედობას, ა. ი. წაუვანას თუ შინ დატოვებას  
და სისარულით ცას დაეწეოდა, როცა იმასაც გამოვიწვევ-  
დით დასტვენით, ან დაწრუწებით ჩვენთან წამოსასვლე-  
ლათ. მაგრამ გაიგონებდა თუ არა გაჯავრებას, დაძლის  
ხმას, ჩამოუშვებდა კუდს და დაშმარებული დაჯდებოდა  
კარების მომორებით...

როგორც ზევითა ვთქვით, ბროლის ჩვენთან სია-  
რულის ღროს მაღიან უევარდა დაწინაურება, ან უკან ჩა-  
მორჩენა, მაგრამ ჩვენ ამას უურბდების არ ვაქცევდით,  
რადგანაც, როცა უნდა წასულიერ, ისევ ჩვენთან მოირ-  
ბენდა. თუ გზაში ვერ დაგვეწეოდა, ან აგვცდებოდა, სას-  
ლის გზა არასოდეს არ დაეკარგებოდა. ერთხელ ის სად-  
ლაც მეზობლის მაღლებშა გაიუთვიეს. ბროლის დიდი



სიხარული იუო იმათთან გასეირნება და გართობა. დრო გავიდა და ბროლია აღარ დაბრუნდა. დავუწევთ ძებნა, მახილი, მაგრამ ვეღარ ვიპოვეთ. დაღამდა — არსად არის, გათენდა — არსად არის. გავიდა მეორე დღე... მესამე... მეოთხე... სად არის ბროლია! ორი კვირაა იმისი ასაგალ-დასავალი ვეღარ გავიგეთ. ფამ ჩაელაპა, მიწამ ჩანთქა? მოიპარა ვინმებ? დიდმა მაღლებმა დაკლიკეს? არავინ იცის! დაიკარგა, დაიკარგა საწეალი ბროლია!..

მიჩუმდა, მიწუნარდა სახლი, კარ-მიდამო უ ბროლით! სადღა იმისი წეავ-წეავი, იმის ხმაურობა, იმისი სიხარული, იმისი სტუნაობა, ჯლიაქოთი!! რაზაც დააკლ-და ოჯახი! როგორდაც დაღონდა არე-მარე... თვალი გზისკენ გვიჩებოდა, თთქო ხმა მისი გვესმოდა, მაგრამ სადარის!..

ჩეენსას ვიდა ჩიოდა, საწეალი ფისო იუო შესაბრა-ლისი: მოგლივეს გულიდან მეგობარი, წაართვეს ამხანა-გი, რომელთანაც ორი წელიწადი დღე-და-დამ გაუწევეტ-ლივ თამაშობდა, სიამოვნობდა!..

მთელ სახლ-კარს, ბოსელს, საბძელს, ეზოს უ-ლის გარშემო ფისუა და დაემებს საუფარელ, ერთგულ მეგობარს; ქნავის, ღნავის გულსაკლავათ, უძახის განწი-რულების ხმით, დღეს, ხვალ, დღე-დამე! სან ერთს გვშ-ფერება, სან მეორეს, ხოუტუნებს, ზედ გვეგლისება, თთ-

ქო გვეკითხება: „სად არის ჩემი მეგობარი ბოლობისა? მაგრამ არისადან სანუცემო პასუხი არ ეძღვება.

— არ ვიცით, ჩემო ფისო, არ ვიცით, ჩემო ფისუნია, სად არის!.. ვეუბნებით ჩვენც, მაგრამ ამითი ვერ გამშვიდებთ გულ დამწვარ კატას! ის აღარა გვშორდება, მოსვენებას არ გვაძლევს, ფეხი ვერ გადაგვიდგამს, რომ არ შემოგვლნავლოს: „მითხარით, სად არის ჩემი მმობილი?!. რათ მიმალაყო! რათ დამაობლეთ? ვინ იუო ის ბოროტი, რომ მოიპარა?.. ვინ იუო ის მხეცი, რომ სიცოცხლე მოუსპოვო? — კარგია, ფისო! კმარა, ფისო-ჯან, მოითმინე! იქნება გამოჩედეს სადმე შენი შეგობარი!“ ვანუგბეშებთ ჩვენ.

საწეალი ფისო! სად არის ნუცემი?! ერთ წუთს აღარა გვშორდება, თითქო ნუცემს ჩვენ ალერტი-ღა ჭროულობს, თითქო ჩვენით-ღა ცოცხლობს!

აი, ასეთი გრძნობა აქვს ოთხფეხს, თუმცა კი უენოა!

ფისოს ცხოვრება სოულიად გამოიცვალა. ის აღარ არის, რაც წინათ იუო! სადღაა უწინდელი მხიარულება, სირბილი, ხტუნაობა, თამაშობა?! თავჩაქინდრული დადის კუთხიდან კუთხემი და უკრს უგდებს, თავგმა ხომ არიად გაიჩუჩნაო. „კარგია ერთგული სამსახური, მაგრამ მოგეწუნება, თუ გამრთობიც არა გუავს! ადამიანებს ხომ ვერ აჟევები! მართალია, იმათაც მოფერება, მობლერსება ცოდნიათ, მაგრამ სულ სხვა უოფილა შენი თანამომევ.



თოსფეხი!“ ამ გვარი ფიქრები უნდა ჰქონოდა თავში ჩეუსს  
ფისუას, როცა ის თვალ დახუჭული იჯდა და უხალისონ  
ეურს უგდებდა თავვების ფაცი-ფუცი!

ნეტავი ცოცხალია ახლა საწეალი ბროლია? თუ ცო-  
ცხალია, ნეტავ რას ჭყიქობს, ან რას გრძნობს, რომ  
შერ გვხედავს ჩვენ და მეტადო თავის საუგარელ მმო-  
ბილებს!?

ქატა დღითი დღე დანადგლიანდა. იმის გულსაკლავ  
ქნავილს ბოლო ბრაზ მიეცა. რამდენსამე დღეს შემდეგ  
ის ჩამოხმა, გახდა, დახორავიჭდა!.. თან-და-თან ცუდათ  
და ცუდათ ხდებოდა! ბოლოს დღეც დაეთვალა, ლოგინათ  
ჩაგარდა და აღარც ამდგარა!.. მხოლოდ უგანასენელ სუ-  
ლის ამოსელის დროს წამოდგა თავის საწოლიან, თით-  
ქო უნდა გამოგვთხოვებოდა, გაჭირვებით წამობობდედა  
მეორე თახსისკენ, მავრამ ძლიერ მიახწია კარებამდის და  
ღონე მიხდილმა განუტევა სული!.. ერთგული მეგობრის  
უდროვოთ დაგარგვამ, მოუდო ბოლო და გადაიტანა სა-  
ცოდავი! აი, ეს არის ჯიგარი!..

თეოფ. კანდელაცი.



## ტურქი შიში.



ოტე ქართველი უმარტვილი იქო, უკელაფერში შეტიჩობა და თავის გამოჩენა უკეთოდა ხოლმე; ამიტომაც ერთხელ ძრიელ ცუდი საქმე დაემართა.

ის, მისი და-მები და ამხანაგები ერთ მთვარიან დამები ეზოში ისხდენ დიდ გაკლის მირში და თამაშობდენ, იქე მახლობლათ სოფლის მველი საუდარი იდგა და სასაფლაოც იქო.

— კოტე! ჰყითხა ერთმა უმარტვილმა, — მართალია რომ ამბობენ, საუდართან რო დიდი ცაცხვი დგას, იმაზე დამით გაბრიელ მთავარ-ანგელოზი მოფრინდება და ანთებსო?

— ჩვენმა მასწავლებელმა გვითხრა, ეს სულ უმეცარი სალსის მოგონილიაო, — უთხრა კოტემ (ის იმ დროს სოფლის სკოლაში დადიოდა).

— მაშ ისრც ტურქილია, საფლავებზე რომ ასათებს რაღაც დამით? — ჰყითხა მეორე უმარტვილმა, — ბებიამა თქვა, ცხონებულების საფლავებს დამით ნათელი აღკიაო.

— ბებია შენმა ბევრი იცის! — ტურქილია მაშ რა არის, — უპასუხა კოტემ.

— მაშ რათ ეშინია სალს დამით სასაფლაოზე გავლისა? — იკითხა მესამე უმარტვილმა.



— იმიტომ ქმინიათ, რომ მულაურუ არიან, ჩრდილების  
უსწოვლიათ, ჩვენმა მასწოვლებელმა უფრო კარგათ არ  
იცის? — უთხრა უმაწვილებს კოტებ.

— მე მაინც ვერ გავივლი სასაფლაოზე დამით და, —  
თქვა ერთმა უმაწვილება.

— მაშ რას მომცემთ მე რომ ახლავე სასაფლაოზე მი-  
ვირბინო და ისევ დავბრუნდე? — წამოიძახა თავ-მომწონე  
კოტებ.

— მენ ტუავში დადგი, ნუ ატეხილხარ, უთხრა დამ-  
მაშომ კოტეს, — მამა გაგიჯავრდება.

— თქვენ რას დასდევთ, გინდათ დაჭნიმლავდეთ, — თქვა  
კოტებ.

— რომ მოგვატეუილო? ემანდ დიამალები, შერე მო-  
ხვალ და იტევი, სასაფლაოზე ვიუავიო, — უთხრა ერთმა  
ამხანაგმა კოტეს.

— აი ამ ჩემ დანას დავასობ იქ და ისე დავბრუნდე-  
ბი. მაშინ ხომ დაიჯერებთ, — თქვა კოტებ, წამოხტა და  
გასწია კედეც სასაფლაოსკენ.

მართლაც მალე მიირბინა, ცოტა არ-იქოს ეშინოდა;  
სიჩქარით ამოიღო თავისი პატარა დანა, მოიხარა და და-  
ასო ერთ საფლავზე.

მაგრამ საუბედუროთ კოტეს ცოტა გრძელი წინა  
შევა და კალთის ბოლო დანის წვერს მოჰქევა ქვეშ.

დაბარ თუ არა დანა, მოინდომა უკან დაბრუნება,  
მაგრამ დახეთ უბედურებას, კოტეს კალთა ვიზამაც და-  
ჭირა და არ უშევებდა.

კოტემ გაიფიქრა, კვდარი მიჟერსო, კინაღამ გული  
წაუგიდა, გამოგლივა ჩერქესების კალთა და მოჰქეურცხვა.

გზაზე რომ მორბოდა, ერთბაშათ უკან მიიხედა, ხომ  
არავინ მომდევსო და თვალი მოჰქონა თავის ლანდს.  
ეგონა გადაცვალებულის აჩრდილი თუ მომდევსო, კიდე  
უფრო შეეძინდა და გულ გახეთქილი მიიჭრა თავის ამ-  
სანაცებთან, სულს ძლიერ იბრუნებდა და აღარც ხმას  
იღებდა.

— რა დაგემართა, ბიჭო, სად იუგი? — ჭკითსა მამამ,  
რომელიც სწორეთ იმ დროს მოვიდა კაკლის მირში.

კოტეს გული ისე საშინლათ უცემდა, რომ კაი ხანს  
ჰასუსი ვერ მისცა.

გული რომ მოიბრუნა, უვეჯაფერი უამბო მამას, რო-  
გორ სტაცა კვდარმა კალთაში ხელი, როგორ უძველა  
თავს და როგორ მოსდევდა უკან გარდაცვალებულის აჩრ-  
დილი, უმაწვილები შამოეხვიერ კოტეს და გაკვირებით ის-  
მენდენ მის ლაპარაკს.

მაგრამ კოტეს მამა მისვდა, რომ ეს სულ ტექილი

ဆိပ်က ရွှေ၊ မြို့သွေးနာ ပေါ်မျှပဲက အေသာဖွေလာတဲ့ စွဲ ဒုက္ခစိုင်းနဲ့  
ငဲ့ အနွေ့လဲ၊ သေဇားဖဲ့ ပြောတဲ့ ရွှေနာ ရွှေးကြ... အမြတ်လျှော့အဲလဲ  
ရွှေနာ မြတ်စွာ-အဲလဲတဲ့ ဤလောက် ပုဂ္ဂန်နဲ့ ပြောတဲ့ ပုဂ္ဂန်တဲ့ စွဲ  
နာကျေး၊ ရေမ ပုဂ္ဂန်လဲက ရွှေ၊ အဲလဲ ဤသွေးနာ မိမိရွှေနာ၊ ဒေဝါ  
ရွှေကွဲပွဲနဲ့ ပြောတဲ့ ပုဂ္ဂန်၊ အမား ပျော်ရွေးပဲ ပြောတဲ့ အမြတ်လျှော့အဲလဲ  
အုပ်ဆောင်ရွှေးပဲလဲနဲ့ ရေကွဲပွဲ ရွှေ၊ ပုဂ္ဂန်ရွေးပဲ ရေမ ရွှေကွဲပွဲနဲ့အဲ?

ဒ. မြို့ယာလုပ်ဖွံ့ဖြိုးလဲ.



## ୩ ୯.

ତିଲ ଦାଢ଼ିଲା ପିଣ୍ଡିରୀ ଲ୍ୟାଲ୍ୟାଶି  
ନ ମହେସତ୍ୟେବାମଦା, କିମରା,  
କୁରୁକ୍ଷାଳ-କୁରୁକ୍ଷାଳି ପର୍ବତମଲ୍ୟବି  
ଲ୍ୟାଲ୍ୟାଶି ଗାଫମିଲ୍ୟାଲ୍ୟାଶା.

ନାହେ ପାଇ ଗାଲାଲ୍ୟାଶାରି  
ଶାବରୀଲାଲି ତାଙ୍କି ନେବାଶି,  
ପାଇ ମହେ-ମତ୍ୟାରିଲିଲାଲି ଲ୍ୟାଲ୍ୟାଶା  
ତାଙ୍କି ପିଲି ପାଇ ପାଇ ନେବାଶା.

ସାର ପୁଣ ମିଳିଲାଲି ପ୍ରାଣ-ନାଶି—  
ମାରୁଗାଲିଲ୍ୟାଶି ଲିଲିଲିଲା;  
ଅ ଶାମିଲିଲି ରାଜ-ରାଜି  
ଭୁଲିଭୁଲିଲି, ଏନା-ତ୍ୟବିଲିଲିଲା.

ପ୍ରେଲା ପ୍ରେନି, ଶମରିଲା ପ୍ରେନି,—  
ଲେ ପ୍ରେଲାଲ ଦାଶମିଲ୍ୟାଶା  
ରା ମିଳି ପିଲି-ପ୍ରେନି ପ୍ରେଲାଲ୍ୟାଶି  
ଲିଲିଲି ଲିଲି ପ୍ରେନି ପ୍ରେନି ପ୍ରେନି.

ଶ୍ଵାସ ମନେଗଲିଜା ମିଳି ଏହି  
ଦିନିବା-ପ୍ରେଲିପ୍ରେନାନାତା  
ରା କାହେତାନା ଲ୍ୟାଲ୍ୟାଶି  
ମିଳି ମେଳି-ଦଲ୍ୟାଶିବାନାତା.

ଶ୍ଵେତ ଶ୍ଵେତ ଗାଦାତପାରିଲା,



ମହେ ଏହି ସାହିତ୍ୟର ପଦ୍ମପାଦ,  
କେଲିବ ମାନିବ ମିଳିବ କାହାର,  
ମାନିବ ମହେ ପଦ୍ମପାଦର ପଦ୍ମପାଦ.

—ମହେ, ପଦ୍ମପାଦ, ମାନିବ ପଦ୍ମପାଦ,  
ପାଦର ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ,  
ପାଦର ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ.

ପଦ୍ମପାଦର ପଦ୍ମପାଦର ପଦ୍ମପାଦ,  
ପଦ୍ମପାଦର ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ,  
ପଦ୍ମପାଦର ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ,  
ପଦ୍ମପାଦର ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ.

— ଏହି, କଥି ଏହି ପଦ୍ମପାଦ  
ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ,  
ଏହି କଥି ଏହି ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ  
ଏହି ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ.

ପଦ୍ମପାଦ, ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ  
ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ,  
ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ  
ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ ପଦ୍ମପାଦ.

॥. ମହାପଦ୍ମପାଦ.



ჯემს გარფილდის ცხოვრება.

## XV.



აგენაცელოს დედა, რა ამბავია, კაცის სახე  
არა გაქეს? რა მოგივიღა? აეათ ხომ არა ხარ?  
ეკითხებოდა შეილს გარფილდასა.

— დიახ დედა ჩემო, აეათა ვარ და ამი-  
ტომაც დაეძრუნდი შინ. როგორ მოვახწიე ამ  
ჩეენ ქოხამდის — მე თვითონაც ვერ გამიგია!  
საშინლათ დასუსტებული ვარ.

დედამ მაშინვე ცეცხლა პირას დასეა და  
მისთეის ვახშმის მზადებას შეუდგა. ჯემსი ღი-  
მილით თვალს არ აშორებდა მას და გულში  
ღმერთს მადლობას სწირავდა — შინამდე რომ  
მოახწია. გული მოიჯერა მით, რომ მოუყვა  
დედას, რაც კი თავს გარდახდენოდა ამ სამი  
თეის ვანმავლობაში და ბოლოს ის საშინელი  
ლამეც აუწერა, როდესაც მისი სიცოცხლე ძაფზე  
ჟერდა

ძეირტასი აეათმყოფი რომ ძალან არ დაღალულიყო, გარფილ-  
დისამ აფრე დააწეინა. ეს ლამე საბრალო დედისათეის თითქმის უბედ-  
ნიერეს ღამეთ ჩაითელებოდა; სიხარულისაგან მთელ ღამეს თვალი არ  
მოუხუჭავს, სულ ლოცულობდა, მადლობდა ღმერთს შეილის დაბრუ-  
ნებასათეის. საჭერ მაინც შეეიდა ჯემსის ოთახში — ძინას თუ არა.  
ჯემსს მშეიდობიანათ ეძინა. ღილით ძალიან კარგ გუნებაზე გამო-



ელვიძა, თუმცა სისუსტით ადგომა ეყრ შეძლო. ჭაობის ცეკვების შეზღუდვა შინელება რამ არის. ორი დღეც არ გასულა, რომ ჯემსს აეთმყოფობა ისევ განუახლდა. ასე რომ მთელი შექმოდგომა გამოუსუმელ ტანჯვაში გაატარა. ძნელი წარმოსალენია—რა აიტანა ამ დროს საწყალმაწლედამ. უკანასკნელი ფარაც არ შეიიჩინა, იწევედა ყაველ მხრიდან ექიმებს, მათაც ბლომათ ასევს სხვა-და-სხვა უხერო წამლები ჯემსს და მით უფრო დაასუსტეს; დღე და ღამე მოუსეენრათ ბოდავდა—ხან სად წარმოიდგენდა თაეის თაეს ხან სად. დედამ რაკი უკა- თობა ეყრა შეატყო-რა, გადასწუეიტა წამლებისათვის თაეი მაენენებია და თეისი შეილი ისევ ბუნებისათვის მიენდო. მართლათაც, ამ სა- შუალებამ ყველა ზომებზე უკეთესათ იმოქმედა. საშობოოთ ჯემსი მოლონიერდა, დაიწყო ჭამა, კარგათ ეძინა; ხანდისხან ლოგინიდანაც წამოდგებოდა და რამდენიმე საათის განმავლობაში უჯდა დედას გვერდით, რომელიც კვალაეინ უებურათ დაუღალავათ ჰკერაედა და ართაედა. ხშირათ ჩამოუეარდებოდათ ბასი, თუ რა გზას დაადგეს ჯემსი. დედა ახლაც თაეის უწინდელ აზრს ადგა, ამბობდა, რომ ჯემ- სი მასწავლებლათ ან მქადაგებლათ უნდა გახდესო.

ქრისტეშობისთვის ბოლო რიცხვებში ჩამოეიდა ახალი მასწა- ლებელი პატორი ბატსი; გარფილდისას გაგონილი ჰქონდა მეზობ- ლებისაგან, ბატსი ძალიან მუყაითი, განათლებული და მორჩმუნე კა- ციაო. ბოლოს კიდევაც გააცნეს; პატორმა ხშირათ დაიწყო სიარუ- ლი მათ ოჯახში. ძალიან შეუყვარდა ჯემსი და უსასყიდლოთ ასწავლი- და მას, სახლში, რაღანაც ახალ ნაავათმყოფარი უმაწევილი ჯერ კიდევ სუსტი იყო და სკოლაში სიარული ეძნელებოდა. რაც უფრო უკეთ შეიქნა, იმდენათ უფრო და უფრო წარჩინებით სწავლობდა.

— ღმერთი რომ სიმრთელეს მოგცემდეს, შეილო, — ეუბნებო- და დედა,— და სულ მოაჩებოდე, გაისათ შეგიძლია თეითონ შენ- დაიჭირო მასწავლებლის ადგილი და მოაგრივო ფული სემენარია მი- შესასელებლათ.

— არ ვიცი, დედა, გამართლება თუ არა შენი აზრი,— მიუ-

გო ჯემსმა.—რაღაც ისევ ზღვისკენ მიზიდაეს, წყალს აქს ჩემთვის რაღაც მიმზიდებული ძალა. დახუჭუა თუ არა თვალს, მაშინვე — წარმომიდგება ბარქასი ან ორანძიანი ნაერი, ეგრძნობ კიდევაც გაფისულ ბაგირის სუნს, მესმის ჯაჭვების ხმაურობა, წყლის შხაპუნი. ვერ წარმომიდგენია, რანაირათ უნდა დავივიწყო. სამუდამათ ჩემი უსაყარლესი ოცნება—ზღვის სამსახურში შესელა.

— ჩანს ზღვის შესახებ დაწერილი რომანების გავლენა მაგრათ გახჯდომია ჩემ შეილსო,—გაიფიქრა გარფილდისამ.—ცოტა ხანს მოვიცდი, ეინ იცის, ეგებ უფალმა სხვა მიზნისკენ წარმართოს ჯემსის აზრებით, და ამ საგანჩე საუბარი ამას შემდეგ აღარც კი ჩამოუკდია.

პასტორი, ამ შემთხვევაში ძალიან შეელოდა მზრუნველ დედასის ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ ახალგაზდა გარფილდისათვის გამოეცილებინა ანირებული განზრახვა ზღვაზე წასელისა. მაგრამ ყოველმა ცდაშ თითქო უნაყოფოთ ჩაუარა, იუიქრა რომ ერთა-ფერს გავაწყობო და სჯობს თავი დაეანებოვო. მაგრამ ერთ საღა-მოს, გაკვეთილის შემდეგ ჯემსმა თეოთონ დაიწყო ლაპარაკი: გულ-დასმით უნდა შეეუდევ უმაღლეს განათლების მიღებასო. ამას არც პასტორი და არც დედა არ მოელოუნ.

— შეენიერი აზრია! —დაიძანა მხიარულათ პასტორმა.—მერე რას აყოვნებთ? როგორც დადგება მარტი, წაეიდეთ ერთათ ჩესტერში და იქ სამოსწავლო სემენარიაში მიებარეთ, იქიდან უკელა უმაღლეს სასწავლებელში გზა გახსნილი გექნებათ.

— კარგი, წაეიდეთ ჩესტერში, —უპასუხა გარფილდმა.

— მართლა თანახმა ხართ?—ჰკითხა პასტორმა.—აბა მერე აღარ გადათქვათ თქვენი სიტყვები. ეს შესამჩნევი წამია თქვენს ცხოვრებაში. ნუ სწავხართ იმაზე, თუ რითი იცხოვებთ სემენარიაში, საშუალებას ყოველთვის იშოვეთ. კარგია ის, რომ თქვენ, როგორც იქნა, გარდასწყვიტეთ საბოლოოთ ეგ.

დიახ, დედის სიყვარულმა თავისი გაიტანა! გარფილდისამ უზო-



მო ბეღნიერება იგრძნო, როდესაც შეიტყო, ჯემსი ჩესტერს მიე-  
მგზავრება.

— უოტაოდენი ფული მაქს, შეილო, მოგროვილი, — უთხრა  
ჯემსს; კიდე კიშორი რამდენსამე დოლარს და ეს შენთვის საკმა-  
რისი იქნება.

— მე, ჩემო დედა, იქ უეჭველია შაბათობით ერთოვი რამე სა-  
მუშაოს! თქეა ჯემსმა; — ასე რომ ყოველი საჭიროების დასაკმაყოფი-  
ლებლათ მექნება ფული, მგონი სემენარიაში შესატანათაც მეყოს. ნუ  
იწუხებ თავს, თუ ღმერთი გწამს. უნდა მოველაპარაკო ვილიამ და  
გარსი ბოიტონებს, ეგება ისინიც წამოვიდენ სემენარიაში. მაშინ  
ხომ სამიერ უფრო იოლათ გამოვალთ ხარჯში.

როგორ გაეხარდა გარფილდისას, როდესაც დაინახა, რომ ის,  
რაც მუდამ მის საყვარელ, სატრუიალო ოცნებას შეაღენდა, ახლა  
სრულდებოდა. ბოიტონებიც მოელაპარაკენ მშობლებს და განაცხა-  
დეს ჩეენც მოვდივართ სამენარიაში შესასელელათ და ჯემსთან ერ-  
თათ ეიცნორებთო.

სანამ ყმაწეილები ემზადებოდენ ჩესტერს წასელელათ, გაფრ-  
ცელდა ხმა, რომ იმ დროის გამოჩენილი ექიმი რობინზონი ჩამოსუ-  
ლა ბედუინობიდან, ერთ გარფილდიანთ მეზობელ ახალმოშენესას,  
ავათმყოფის გასაშინჯათაო. ჯემსმა იფიქრა — მოდი ეეჩენები ექიმს  
და კიოთხავ, აიტანს თუ არა ჩემი აგებულება სწავლას და თანაც  
მძიმე ფიზიკურ შრომით თავის რჩენასაო. აი როგორ აგვიწერს თეოთ  
ექიმი რობინზონი, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მაჟე მომავალ-  
მა პრეზიდენტმა ამერიკის შტატებისამ:

„ეხედავ ჩემ წინ ძალიან ღარიბათ ჩაცმულ უმაწეილს: მას  
ეცავ მოკლე მდარე სატინის შალვარი, რომელიც ნახევრათ ძლიერ  
უფარავედა წალებს, ეიწრო ფილეტი და ძეელი პალტო, რომლის სა-  
ხელოები იდაყვს ძლიერ უფარავედნ. თავზე ეხურა დაჭმუქწული  
ძეელი ქუდი. როდესაც შემოვიდა ოთახში, მოიხალა ქუდი და  
ზრდილობიანათ თავი დამიკრა, სქელმა ოქროს ფერშა თმამ დაჭუ-

რა მისი მხრები. მე იმ წამსეე შეენიშნე, რომ ძალიან რცხვერთიდა  
ჩემი; მაგრამ მისმა წრფელმა, გაბედულათ გამომეტყველმა თვალებმა  
მაშინევ მიმიშიდეს.

„ეინა ხართ? დავეკიოთხე ცოტა ან იყოს ცივათ.

„მე გახლავარ – ჯემს გარეულდი, — მომიგო მან.

„დიდათ მიხარის თქვენი ნახეა, — ეუპასუხე, — დედა თქვენს კაი  
ჰანია ვაკუნას. თქვენ პაწაწ, ბალლათ მახსოვრართ. ახლა კი სწორეთ  
ველარ გიცნობდით...

„ბ-ნო ექიმო, მე მსურს ცალკე მოგელაპარაკოთ, მორცხვათ  
წარმოთქეა ჩემმა სტუმარშა.

ავდექი, წამოვაყვანე პატრა მოედანზე, სახლის მახლობლათ;

მე ჯირკზე დავჯექი და ისიც გვერდით მოეისვი.

ყმაწევილმა მოხვევა შემემოწმებინა და გადამეწყვიტა, აიტანდა  
თუ არა მისი აგებულება მძიმე გონებრივ და ფიზიკურ შრომას.

15 წამზე მეტს ეშინჯაედი და ბოლოს გამოვუცხადე: „თქვენ  
სამაგალითო ჯან-სალი ვაჯაცის აგებულება გაქვთ. იშრომეთ რამ-  
დენიც გინდათ, თქვენი აგებულება ყველაფერს აიტანს. გიწინასწარ-  
მეტყველებთ, რომ შესამჩნევი კაცი გამოხვალთ“.

დადგა ის დღე, როდესაც სამი ჭმაწერლი ჩესტერს უნდა გა-  
მგზავრებულიყო სასწავლებლათ.

რადგანაც ესენი სახლში აპირებდენ თავიანთვის სადილ-გახშმის  
კვეთებას, თან წამოიღეს თათო-ოროლა ქურკელი და საჭირო  
სანოვაგე.

გარეულდისამ მოაგროვა ფული რაც მოეპოვებოდა — 11 დო-  
ლლარი და მისცა შეიღლს.

— დასაბინავებლათ კი მეყოფა, თქვა ჯემსმა, და დანარჩენისათვის  
მე თეითონ ეიშოვნი.

## XVI.

ხუთ მაჩტს სწავლის დაწყების წინა დღით, ჯემსი და მისი ბიძაშეიღები, სხვა-და-სხვა ბარგით და სანოვაგრო დატვირთულნი, ქვეითათ გაემგზაერენ ჩესტერს. თუმცა ქალაქამდე დადი მანძილი არ იყო, (ხულ ათი მილი), მაგრამ გზები ოგიოს შტატის ტყეებში ახალ გამოზაფხულზე ძალიან ძნელი სასიარულო იყო, ასე რომ ჩევნი მოგზაურები ხშირათ ღრმა ტალახში ეფლობოდენ. მთელ მათ ბარგს შეადგინდა თითო წყვილი საცვალი და პატარა ყუთი, სადაც თვითოეულს ჰქონდა ჩაწყობილი თითო ციცქევი, რამდენიმე თევზი, დანა-ჩანგალი, კოეზი, ტაფა და პატარა ქვაბი. გარდა ამისა, მშობლებმა გამოატანეს შინაური ლორი და პური.

აი, მოვიდენ კიდევ ჩესტერს: სამივე პირ-და-პირ სემენარიის ინსპექტორ დანიელ ბრენჩიან გაემზაერენ, რომელიც თუმცა ახირებული, მაგრამ მაინც ყოველის მხრით პატივსაცემი და პატიოსანი კაცი იყო.

— ბატონო ჩევნ შოვედით ორანჯის მდინარიდან, თქეა გარფილდმა და დაუკრა თავი.—გესურს თქვენ სემენარიაში შემოსელა-მოხუცმა იყითხა გეარები და დიდათ მოიწონა მათი განზრახეა.

— როგორც ვხედავ, თქვენ ჩევნი სასწავლებლის სხვა მოწაფე-გბზე მდიდარი არა ხართ,—უთხრა ინსპექტორმა და თან ახალ-მოსულო თავით-ფეხამდე ათვალიერებდა.

— ბატონო, ღიმილით უპასუხა გარფილდმა,—ჩევნ აქ მოვედით დატვირთულნი ქოთნებით, ქვაბებით და შინაური სანოვაგით და არა ოქრო და ვერცხლით.

— მაშასადამე, თქვენ თქვენვე უნდა მოიმზადოთ სადილ ვახშამი? დაეკითხა ბრენჩი.

— დიახ, ბატონო. შეიძლება თქვენ გვასწავლოთ იაფ-ფასიანი თთახი?—მონახეს ბინაკი; იქვე სემენარიის შენობის შორი-ახლოს,

ძელ ხის სახლში ერთი მოხუცებული, მარტო-ხელი ქვერიები აქინა. ვებდა ოთახებს სემენარიელებისათვის.

ბრენჩია ჩვენი ყმაწეილები იმასთან გაგზავნა; თითქმის მუქთათ მისცეს მათ ოთახი, სადაც იყო კერა, სამი ძეელი სკამი და ორი ტახტი. გახსნეს თუ არა თაეიანთი ბარგი, შეუჯდენ სადღლის მზადებას.

ასზე მეტი ქალი და ვაჟი სწავლობდა ამ სასწავლებელში, ახლო-მახლო ადგილებიდან. თვითონ ქალაქი ჩესტერი პატარა და სუფთა ქალაქი იყო და სხვა ქალაქებისაგან მხოლოდ მით განიჩეოდა, რომ იქ სემენარია იკვა. როგორც გაიხსნა კლასები, გარფილდი მხურვალეთ შეუდგა სწავლას.

პირველათ ჯემი კარგათ ჩაცმულ ამხანაგებთა შორის ვერ გრძნობდა თავის თავის თავისუფლათ. ბუნებით მორცეს, არ იცოდა რა ექნა მათ საზოგადოებაში, მაგრამ ცოდნის წყურებილმა მალე დაძლია მორცეობას; იგი გაერთო სამეცნიერო მეცადინეობაში და სრულებით არ აქცევდა ყურადღებას გარშემო მყოფთ.

ჩერ ყმაწეილებს საოჯახო საქმე ჯერ კარგათ მიკავედათ, მაგრამ საშრომათ მოეწყინათ მუდამ სადიღ-ვახშმის მზადება. ამიტომ ორ კეირას შემდეგ მთელი სამზარეულოს საქმე თავიანთ მოხუცი-დიასახლისს მიანდეს. ძალიან ცდილობდნენ გარფილდი და მისი ნათესავები ხელ-მოჭერით ეცხოვათ, მაგრამ მაინც ფული ხელი-დან ეცლებოდათ. წიგნების და კიდევ რაღაც წერილმანების ყიდვა-ში ჯემსს ნახევარზე მეტი ფული გაუქრა.

— რამე სამუშაო უნდა აეიჩინო, მეტი ღონე არ არის, — გამოუწადა მან ბოიტონებს, — თარებ დღეს, თუ ხეალ გავკოტრდები. ჩემა 11 დოლლარიდან ცოტა-ლა დამჩრა.

— მერე რა სამუშაოს იშოგის კაცი ამისთანა პატარა ქალაქში, როგორც ჩესტერია? მიუვა ეილიამ ბოიტონმა.

— ა თუნდ, სადურგლო სამუშაოს; ამას წინეთ ერთი დურგლის ბინა ენახე, წავალ, ეეცდები რამეს.



მეორე დღეს ჯემსი თავისუფალ დროს იმ დურგაპლაზაზე წავიტა  
და, გულახლით გამოუტყდა რომ მხოლოდ 11 დოლარით მოვწე-  
დიო, რომლითაც ბინაც უნდა ვიქირავო, წიგნებიც ვიყიდო და თა-  
ვიც გამოვიკვებოვო.

— შემოიარეთ გაკვეთილების შემდეგ; ვეცდები ეგებ მოვიხერ-  
ხოთ რამე, — უთხრა დურგალმა.

— კარგი, ჩახეთ ჩემი მუშაობაც, მე ხომ მოწყალებას არა  
გთხოვთ — უპასუხა ამაყათ გარფილდმა. ვივარებ მიქირავეთ, არ ვი-  
ვარებ — ნუ მიქირავებთ. შემიძლია ვიმუშაო დღეში ორი. სამი სა-  
ათი, შაბათობით კი დილიდან სალამომდე. ჩემი შრომა თათონ თქვენ  
დაათვასეთ, თქვენ გამიჩინეთ ქირა, როდესაც ჩემ მუშაობას დაინა-  
ხეთ. წინდაწინ მე არაფერ სასყიდელს არ გთხოვთ.

ძალიან მოეწონა დურგალს ასე ამაყათ მოალაპარაკე ყმაწეილი  
და სოხოვა გარფილდს მოსულაყო მეორე დღეს დილით. რაღა ლა-  
პარაკი უნდა, რომ ოსტატმა პირველშივე ღირსეულათ დაათვა-  
ახალგაზდა მუშას სიყოჩალე. ჯემსი დადიოდა მასთან ყოველ დღე  
დილით სწავლის დაწყებამდე და მეორეთ ოთხ საათზე გაკვეთილე-  
ბის შემდეგ. შაბათობით კი გათენებიდან შუა-ლამემდე. არ ახსოედა  
არც თამაში, არც სხვა მრავალ-გვარი თავ-გასართობები, რაიც ასეთ  
აუცილებელ მოთხოვნილებას შეაზღინეს ყმაწეილობაში. შხოლოთ  
ხანდისხან თუ გაიტაცებდა თამაში და ცელქობა ტოლებში. იმას  
ძალიან უყვარდა ქროკეტსა და სხვა სათამაშობებში გართობა,  
მაგრამ მუდმივი ზრუნვა თავის ნიეთიერ მოთხოვნილების და-  
კმაყოფილებაზე აეიწყებინებდა საყვარელ გასართობებს; მუშაობდა  
ისე, რომ ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა; მიუხედავათ ამისა შენ-  
ობას და ჩვეულებრივ სიმხიარულეს მაინც არ ჰყარგავდა. წლის ბო-  
ლოს მან გადაიხადა თუ რამე ვალები ჰქონდა და ორიოდ-სამიოდე  
დოლარიც გადასდო დედისთვის.

სკერნარიის სამოსწავლო წიგნთ-საცავი ნამდეილ ბედნიერებას  
შეადგენდა ჯემისათვის, თუმცა იქ რამანები და პუეტური ნაწარ

მოები არ იყო, მაგრამ საუკეთესო თხზულებები მეტნიერების სხვა-  
და-სხვა დარგებიდან მდიდარ საკითხავ მასალას წარმოადგენდა მის-  
თების. გარფილდს არ ეძინა ლამ-ლამობით და მუდამ სამეცნიერო  
წიგნების კითხვათ სტუდებოდა.

